MES 5 22 0000503233

17/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.04.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
10. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

11. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

n	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

n	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	მერაბ მიქელაშვილი	**სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი,	i, ii
2.	ნინო ქავთარაძე		პროგრამის ხელმაძღვანელი, პროფესორი,	i
3.	რუსუდან ქინქლაძე		ასოცირებული პროფესორი,	i, ii
4.	ანზორ აბრალავა		პროფესორი,	i, ii
5	რუსუდან ქუთათელაძე		პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	i, ii
6	ნინო ჩიკვილაძე		ასოცირებული პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	i, ii
7	თამარ ბერიძე		პროფესორი	i, ii
8	დაით მახვილაძე		ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ხარისხის	i, ii

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	
9	ევგენი ბარათაშვილი		პროფესორი	i
10	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.	ii
11	თამარ ლომინაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი.	ii
12	თინათინ კაიშაური		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	ii
13	შალვა კვირკველია		„ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	ii
14	ია ირემაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.	ii
15	ვლადიმერ ღლონტი	**სსიპ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	iii, iv
16	ზურაბ მეგრელიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	iii
17	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	iii, iv
18	დავით ჩხაიძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	iii
19	გოჩა ჩავლეშვილი		ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	iii, iv

20	თემურ თურმანიძე		ასოცირებული პროფესორი	iv
21	თეიმურაზ ჯოჯუა		ასისტენტ პროფრესორი	iv
22	ერმილე მესიხია	**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**	პროფესორი, განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;	v
23	ნინო მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;	v
24	ქეთევან ვაჩეიშვილი		პროფესორი, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	v
25	აკაკი აბზიანიძე	**შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ**	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	vi
26	ხათუნა გაბიცინაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	vi
27	გიორგი ღავთაძე		ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით	vi
28	ანა ფირცხალაშვილი		ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით	vi
29	ნონა ზუმბაძე		ხარისხის განვიტარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	vi

აკრედიტაციის ექსპერტები

n	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	i
2	თორნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	i
3	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	i
4	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	i
5	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	i
6	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	ii
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	iii
8	გიორგი დურგლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	iii
9	გიორგი რობაქიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	iii
10	დავით ფუტკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	iii
11	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	iv
12	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	v
13	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	vi
14	სოფიო მიდელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	vi

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
5. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
6. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენლმა, ლალი ოდიშვილმა. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №18706, 21/01/2021 გადაწყვეტილებით, ხოლო „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია №18744, 21/01/2021 გადაწყვეტილებით. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები "საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამართალმემკვიდრეა. შესაბამისად, „საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გამოეყო ორი ნაწილი და დაწესებულება ამჟამად ახორციელებს აღნიშნულ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვინაიდან, საწყისი პროგრამის („საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) დანარჩენი ნაწილების (ხუთი კვალიფიკაცია) განხორციელების საკითხი გარკვევას საჭიროებდა, ცენტრი აყენებს შუამდგომლობას და მიმართავს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს განიხილოს "საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18744 “ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
7. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;
8. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი : საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

მეორე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18744 “ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

რადგან შუამდგომლობა ეხებოდა ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებს სხდომის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების ერთად განხილვა. აღნიშულ ინიციატივას სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს მიმართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ გრანტის საკითხის კორექტირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ორი პროგრამა შექმნილია 2011 წელს აკრედიტებული საინჟინრო და კომპიუტერული ინჟინერიის დაშლის შედეგად. საინჟინრო პროგრამა ადრე წარმოადგენდა 7 მოდულს, თუმცა უნივერსიტეტმა სააკრედიტაციოდ წარმოადგინო მხოლოდ 2, ესენია, მშენებლობის და ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბიკაშვილმა განაცხადა, რომ "საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (დარჩენილ 5 მოდულზე) არ განხორციელებულა სტუდენტების ჩარიცხვა, ხოლო 2020 წელს არსებული სტუდენტები, პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემდგომ, შიდა მობილობით გადაიყვანეს „მშენებლობის“ და „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ორი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მშენებლობის“ და „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულ რეჟიმში 2021 წლის 21 იანვრიდან. ხოლო, რაც შეეხება "საინჟინრო ტექნოლოგიების" საწყის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით), საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულების საფუძველზე, დაწესებულება უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა აკრედიტებულ რეჟიმში 2021 წლის 01 ივლისამდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:18

პირველი საკითხის გადაწყვეტილება:
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, გადაწყვეტილების ნაწილს დაემატოს 1^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით ”მიეცეს დაწესებულებას “საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით) აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება 2021 წლის 01 ივლისამდე.”

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს უნივერსიტეტის მოთხოვნა
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 22021 წლის 21 იანვრის №18706 “ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის” გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილება:
“ 1^1 ”მიეცეს დაწესებულებას “საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით) აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება 2021 წლის 01 ივლისამდე.”

მეორე საკითხის გადაწყვეტილება:
საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18744 “ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, გადაწყვეტილების ნაწილს დაემატოს 1^1 პუნქტ ი შემდეგი რედაქციით ”მიეცეს დაწესებულებას “საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით) აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება 2021 წლის 01 ივლისამდე.”

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №18744 "ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილება:
" 1[1] "მიეცეს დაწესებულებას "საინჟინრო ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (დარჩენილი ხუთი კვალიფიკაციით) აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება 2021 წლის 01 ივლისამდე."

მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	-
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბერი №76 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (isced – f – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. № 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 მარტს დისტანციურად zoom-ის პლატფორმის საშუალებით ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ექსპერტთა ჯგუფის წინასააკრედიტაციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 16 მარტს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტები ჯგუფის წევრებს შორის. ექსპერტთა მიერ გაიწერა ის ძირითადი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა დაინტერსებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში.

17 მარტს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

მოდიფიცირების შემდეგ პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია (2 აკადემიური წელი); სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს (ECTS).

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები: „მენეჯერული ეკონომიკა", „მეწარმეობა და საწარმო", „კრეატიული მენეჯმენტი", „რეკლამა და პრომოცია", „ბიზნესის მოდელირება", „ციფრული ბიზნესის მარკეტინგი", „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა"(ინგლისური ენა). რიგ სასწავლო კურსებში შეიცვალა კრედიტების მოცულობა; ნაწილ სასწავლო კურსებს მიენიჭა სავალდებულო ხოლო პირიქით ნაწილს არჩევითი სატატუსი; ასევე რიგი სასწავლო კურსები ამოღებული იქნა პროგრამიდან. ასევე შეიცვალა და დაკორექტირდა სასწავლო კურსების სახელწოდება, სასწავლო კურსების ავტორები, სასწავლო კურსების მიზანი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 10 აპრილის n69/ნ ბრძანებასთან,
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (სილაბუსის თემატიკა მოვიდა შესაბამისობაში აღნიშნულ ლიტერატურასთან), კრედიტები (შეიცვალა საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (სთ.), სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) დაშვების წინაპირობები. სწავლების ოთხი სემესტრიდან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი რათა შესაბამისობაში იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი;
2. რეკომენდირებულია ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა, და გამოყენების წახალისება;

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა, რის შედეგადაც ამოღებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების(გაცნობა, გაღემავება, გამტკიცება) გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის, “კვლევის მეთოდები ბიზნესში” გაუმჯობესება;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს და ისუაბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად ზრუნავს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის განვითარებაზე, როგორც გაფორმების, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს ბოლო პერიოდის დაცული სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დონე. მიუხედავად ამისა, სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტი, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას ვიზიარებთ სასარგებლო რჩევის სტატუსით.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა მუდმივად ხორციელდება ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს სამუშაო შეხვედრებს ამ მიმართულებით. ასევე, უნივერსიტეტი პერმანენტულად აფინანსებს ამ მიმართულებით ტრენინგებს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ „ასოციაცია მეცნირებისათვის“ მიერ 2022 წლის თებერვალში ჩატარებული ბოლო ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში“, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ელექტრონული საინფორმაციო მონაცემთა ბაზები; ელექტრონული სამეცნიერო პუბლიკაციების რაობა და სახეები; მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ძიების მეთოდები; სამეცნიერო იდენტიფიკატორების სახეები: ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი (doi); გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების ელექტრონული მეთოდები (ბიბლიოგრაფიული მენეჯერები); ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზების რაობა და სახეები, ციტირების ინდექსის დათვლისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფები; ციტირების ინდექსისა და საერთაშორისო სივრცეში მკვლევარის ცნობადობის გაუმჯობესების მეთოდები და საშუალებები; მკვლევარის სამეცნიერო პროფილის (ავტორის იდენტიფიკატორი) სახეები და შექმნა; სამეცნიერო ნაშრომის საქართველოს ან საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის საჭირო გზები და საშუალებები (აღნიშნული ტრენინგის სერტიფიკატები თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შეფასების რუკიდან გამომიდნარე, ბევრი სასწავლო კურსი გადის თითქმის ყველა სწავლის შედეგზე, შესაბამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად რეალისტურად მიაჩნიათ აღნიშნული ექსპერტებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიხედვით სწავლებისა და შეფასების აქტივობები მცირედით განსახვავებულია. გამომდინარე აქედან, მაგალითისთვის ისეთი სასწავლო კურსების სწავლება როგორიც არის მარკეტინგის მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, მეწარმეობა და სწარმო, რამდენად მიაჩნიათ ექსპერტებს, რომ შესაძლებელია პროექტის გარეშე და ასევე სწავლების ფარგლებში გამოკითხვის მეთოდებად ღია და დახურული კითხვების გამოყენება.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა ასევე დააზუსტა, თუ რომელი სასწავლო კურსებით იფარება ბიზნეს ადმინისტრირების საკვანძო და ძირითადი საკითხები. საბჭოს წევრმა ასევე გამოყო ,,ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის“ სასწავლო კურსი და დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული და მოცემული თემატიკა თავად კურსის შინაარსს. ამასთან სხვა პროგრამიდან ჩარიცხული სტუდენტი შეძლებ თუ არა მენეჯმენტის თანამედროვე სისტემების ცოდნის გარეშე მოცემული პროგრამის სრულად დაძლევას.

აღსანიშნავია ასევე ,,მენეჯერული ეკონომიკის“ სასწავლო კურსი, კერძოს რამდენად შესაბამისია კურსის ისე აგება, რომ არ შუქდებოდეს დანახარჯების ანალიზი და უსაფრთხოების საკითხები. ამასთან, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, თუ რამდენად შეესაბამება ,,მენეჯერული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგად არ ჩანს თუ რა ინსტიტუციები და როდის იქნა გამოკითხული, შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, ერთ-ერთი ნაშრომის შემთხვევაში 51 გამოყენებული ლიტერატურიდან 23 წარმოადგენდა ლინკს, მათ შორის საიტიდან mkurnali.ge.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში განსაზღვრული იყო, თუმცა დაწესებულებამ შემდგომ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეფასებები შესაბამის დონეებს შეუსაბამა. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ ამ კუთხით რიგი ცვლილებები გაატარა, მოცემული საკითხი მწვავედ არ დგას. რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, ექსპერტებმა საკითხთან დაკავშირებით დეტალური პასუხები მიიღოს დაწესებულებასთან, მაგალითად თუნდაც

ტესტების შემთხვევაში, მხოლოდ შემოსახაზი ტესტები არ იგულისხმება და ხში შემთხვევაში ტესტი გულისხმობს კომპლექსური ამოცანის ამოხსნას.
რაც შეეხება პროგრამის დაძლევის საკითხს, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. ასევე უნდა ჩააბაროს სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა- „ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ინგლისური ენა - დონე b2“. ინგლისური ენის b2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდისგან. ამასთან, თავად სილაბუსებიც არ არის იმდენად რთული რომ ზოგადი განათლების მქონე პირს გაუჭირდეს მისი დაძლევა.
აღსანიშნავია ასევე, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ დეტალურად იქნა განხილული შრომის ბაზრის კვლევა, კერძოდ დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტოს თუ ვინ და როდის იქნა გამოკითხული, რასთან მიმართებითაც ექსპერტებს შემდგომ კითხვები არ გასჩენიათ.
ექსპერტმა ისაუბრა ასევე ,,მარკეტინგის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებთ და განმარტა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებსაც გაუჩნდათ იდენტური შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსი სამაგისტრო საფეხურს. მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი შეიძლება იყოს მსგავსი საბაკალავრო დონისა, მოცემული ლიტერატურა, სწავლის მეთოდების და გამოყენებული ქეისები შეესაბამება სამაგისტრო დონეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერისტეტი იაზრებს, რომ კურიკულუმის შესაბამისობის ნაწილში გარკვეული ცვლილებები არსი შესატანი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების ლიტერატურის საკითხს, კერძოდ კონკრეტული ნაწილი, ცალკე აღებული როგორც წყარო არ არის პრობლემა, მთავარია შინაარსთან იყოს შესაბამისობაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილაბუსებში აღნიშნული საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ამასთან ყველა ზემოაღნიშნული სილაბუსი სწავლის შედეგზე გადის ხარვეზების გარეშე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი დამსაქმებელთა ასოციაციასთან. ფაკულტეტის ფარგლებში განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. როგორც ექსპერტების მიერ აღინიშნა, დოკუმენტის ფარგლებში იყო გარკვეული დასაზუსტებელი საკითხები, რაც ექსპერტთა ვიზიტის დროს დეტალურად იქნა განხილული.
რაც შეეხება ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის სასწავლო კურსს, სტრატეგია არის გრეძლვადიანი გეგმა , შესაბამისად სწავლება სწორედ ამ პრინციპით მიმდინარეობს. დაწესებულება განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს სიტუაციურ მიდგომაზე, რაზეც სასწავლო კურსი მთლიანად პასუხობს, ვინაიდან აღნიშნული მოიცავს როგორც თეორიულ ასევე გამოყენებით საკითხებს. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, სწავლების ფარგლებში გამოყენებულია თანამედროვე სახელმძღვანელო, რომლის თემატიკაც ზუსტად შეესაბამება სასწავლო კურსსა და მის შინაარსს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტი 1.2, 2.4, 2.5, 2.6. და 3.2, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ გადავიდა „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკის გადახედვა და კურსების შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. რეკომენდცირებულია, პროგრამაში გაძლიერდეს ადამიანური რესურსების სტატეგიული მართვის, პროექტების მართვის, ოპერაციების მართვის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლის საკითხების სწავლება;
3. რეკომენდირებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი რათა შესაბამისობაში იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი;
4. რეკომენდირებულია, უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მხრიდან სამაგისტრო ნაშრომების გაფორმება აკადემიური წესების სრული დაცვით;
5. რეკომენდირებულია ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა, და გამოყენების წახალისება.
6. რეკომენდირებულია, ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის მეთოდების უფრო მეტად დავხეწა და შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან თავსებადობის უზრუნველყოფა;

რჩევები:

1. სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ.
2. სასურველია, “მეწარმეობა და საწარმო”, “ციფრული მარკეტინგი” , „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“ სასწავლო კურსების სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის გაუმჯობესება.
3. სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკის გავლის ზედამხედველობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა მისაღწევად.
4. სასურველია უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდები კულტურული ან სხვა საჭიროებების გათვალისწინებით.
5. სასურველია შეფასების რუბრიკების ქულებს (მაგ: 15, 12, 9, 6, 3) შორის შუალედების მითითების უზრუნველყოფა შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობისთვის.
6. სასურველია, შიდა ხარისხის მექანიზმების შესრულების გაუმჯობესება პროგრამის განვითარების უზრუნვალსყაოფად.
7. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნ ქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # MES 7 21 0000687909, 22.06.2021 წ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია - 0714
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, კოსტავას ქ. N77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი N8, მე-5 სართული
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 2021 წლის 24 დეკემბრმდე შესრულების წინაპირობით. წარმოდგენილი მასალის თანახმად რეკომენდაციების შესრულებაში მონაწილეობდა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები, რომლებიც სრულად იზიარებდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. შედეგად პროგრმაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც კურიკულუმის აღწერაში, ასევე ცალკეულ სილბუსებში. კეროდ: სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის მოთხონების გათვალისწინებით, რამაც ასახვა ჰპოვა სწავლის შედეგების რუკაში; რიგ სილაბუსებში მოხდა შინაარსობრივი ცვლილება თანამედროვე თემების ჩანაცვდებით; პროგრმა გამდიდრდა თანმდეროვე ინფორმციული ტექნოლოგიების საგნებით; გაძლიერდა და სავალდებულო გახდა ინგლისური ენის სწავლება; მკაფიოდ დაიგეგმა პროგრამის ბიუჯეტი. გამომდინარე აქედან, აკრედიტაციის საბჭოს ფარგლებში განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო 8 რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულების მიერ სრულიად იქნა გაზიარებული და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცის საფუძველზე პროგრამას დაემატა ინგლისური ენა როგორც სავალდებულო კომპონენტი, რაც ფრიადნ მისასალმებელია, თუმცა ინგლისური ენის ოთხივე სილაბუსის გაცნობა ცხადყოფს, რომ

სტუდენტები გაივლიან მხოლოდ ზოგად კურსს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა იგეგმება თუ არა ღონისძიების გატარება რეკომენდაციაში მითითებული ტექნიკური ინგლისურის დამატების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზოგადი ინგლისური ენის სილაბუსები საუნივერსიტეტო დონეზე არის წარმოდგენილი და დამტკიცებული, რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით ინგლისური ენის საკითხების განსაზღვრას, აღნიშნულის ახორციელებს უცხოური ენების აკადემიური დეპარტამენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50

დასრულების დრო: 15:52

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 21^1 პუნქტის საფუძველზე სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეხუთე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #40, 12.03.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	vii
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0724

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (isced – f – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ects კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების“ შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ვიზიტი 2022 წლის 4 თებერვალს zoom პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ასევე zoom პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი.
ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, ერთი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე, ონლაინ რეჟიმში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად და თანამშრომლობით გარემოში; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ჩამოაყალიბეს ზოგადი მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გაძლიერდეს აქცენტი ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.
2. რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად პროგრამაში საჭირო საკითხების დამატება
3. მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს შესაბამისი უცხო ენების ჩამონათვალი და ენის ცოდნის დონე.
4. რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულება, შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურს(ებ)ის დამატებით და/ან არსებული კურსების სილაბუსის გაღრმავებით.
5. მიზანშეწონილია, სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
6. რეკომენდებულია, დაიხვეწოს ტერმინოლოგია „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ სილაბუსში;
7. მიზანშეწონილია, ნავთობისა და გაზის მოპოვების სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევა და გაძლიერება, ასევე, ნავთობისა და გაზის მომზადების საკითხები უმჯობესია გამოეყოს ამ სილაბუსს.
8. რეკომენდებულია, პროგრამამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეთავაზება ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკის კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისათვის.
9. რეკომენდებულია ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა.
10. მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისუაბრა დასკვნაშ არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკაში ნავთობისა და გაზის ინჟინერია ერთ-ერთ

პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება პირობითად დაიყოს ხუთ ძირითად მიმართულებად: ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება-მარაგების გამოთვლა, ბურღვა, მოპოვება, ტრანსპორტირება და შენახვა. ნავთობისა და გაზის მოპოვება კარგავს თავის აქტუალურობას თუ მოპოვებასთან ერთად არ იქნება გადაწყვეტილი მისი ტრანსპორტირებისა და შენახვის საკითხები. შრომის ბაზრის კვლევების შედეგების (სპეციალისტების მოთხოვნა, დასაქმება) მიხედვით საგანმანათლებო პროგრამაში წინ იქნა წამოწეული ის მიმართულებები, რომლებიც განაპირობებენ კურსდამთავრებულთა შესაძლო დასაქმებას. დასაქმების ობიექტებს მიეკუთვნება: ბათუმის, სუფსის, ფოთის, ყულევის ნავთობტერმინალები, სატრანზიტო-საკონტეინერო ტერმინალები და სხვ. აქედან გამომდინარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებული იქნა არსებული რეალობის გათვალისწინებით. პროგრამის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნება აღნიშნული რეკომენდაცია, კერძოდ დაემატება სასწავლო კურსი „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება“ და „ნავთობისა და გაზის მოპოვების და წინასწარი დამუშავების“ სილაბუსში გაძლიერდება პრაქტიკული საკითხები.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების მიმართულებით პროექტის სრულყოფილად შესრულების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში დაემატება სასწავლო კურსი „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება“.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს №59, 07.07.2017 დადგენილებით ჩარიცხვის მსურველიმაგისტრანტობის კანდიდატისათვის უცხო ენაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა) მოითხოვება B1 დონე. ეს საუნივერსიტეტო მიდგომაა და ამის შესახებ ინფორმაციას ბსუ აწვდის აბიტურიენტს ელექტრონულად, სტუდენტის გზამკვლევში, ასევე ზეპირსიტყვიერად საინფორმაციო შეხვედრებზე. სამაგისტრო პროგრამების კატალოგში პროგრამის აღწერაში მითითებულია საკონტაქტო პირი, რომლისგანაც ხდება ინფორმაციის მიწოდება.

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამაში ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულების გაძლიერების მიზნით სასწავლო კურსის „ნავთობისა და გაზის მოპოვება და წინაწარი დამუშავების“ სილაბუსში წინ წამოიწევს და გაძლიერდება პრაქტიკული საკითხები. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება შემდეგ თემებზე: ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების დებიტის გაანგარიშება; ნავთობისა და გაზის პროდუქტიულობის კოეფიციენტის გაანგარიშება; ნავთობის შადრევნირების გრაფიკული გაანგარიშების მეთოდი; ჭაბურღილების მარილ-მჟავური დამუშავების პროცესის დაპროექტება.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში მითითებულია ტექნოლოგიური სქემების, მეთოდების, სტანდარტების, პირობების და სხვათა ცოდნა და გაცნობიერება; დაპროექტების, ხარისხის კონტროლის, ოპერაციების ანალიზის და სხვათა უნარი. რაც გულისხმობს მათში შემავალი თითოეული ელემენტის როგორც ცოდნასა და გაცნობიერებას, ასევე მათი შესრულების უნარს. ინდიკატორად ამ შემთხვევაში არის გამოყენებული საკურსო პროექტი, ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში, წერითი საშინაო დავალება, ტესტი, ზეპირი გამოკითხვა და ა.შ. რომელთა შეფასების ფორმები, მეთოდები, რაოდენობა და კრიტერიუმები, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში .

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, დაიხვეწება ტერმინოლოგია სასწავლო კურსის „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ სილაბუსში. ჩანაწერი „პროდუქტიული ფენის შედგენილობა და ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები“ წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახით: „პროდუქტიული ფენის შედგენილობა და ფილტრაციის პარამეტრები“. ასევე, „ფენის ფილტრაციის სიჩქარის ცვლილება“ ჩანაცვლდება ფრაზით „ფენის ფილტრაციული ნაკადის ან მიმართულების ცვლილება“.

აღსანიშნავია ასევე მე-7 რეკომენდაცია, კერძოდ სასწავლო კურსის „ნავთობისა და გაზის მოპოვება და წინაწარი დამუშავების“ სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევისა და გაძლიერების მიზნით ყურადღება გამახვილდება შემდეგ თემებზე: ნავთობისა და გაზის

ჭაბურღილების დებიტის გაანგარიშება; ნავთობისა და გაზის პროდუქტიულობის კოეფიციენტის გაანგარიშება; ნავთობის შადრევნირების გრაფიკული გაანგარიშების მეთოდი; ჭაბურღილების მარილ-მჟავური დამუშავების პროცესის დაპროექტება.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხს, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომის თემებისა და ხელმძღვანელების ჩამონათვალი წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის, განთავსებულია დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე. თემის არჩევის შემდეგ დეპარტამენტი აკავშირებს მაგისტრანტს თემის ხელმძღვანელთან. საჭიროების შემთხვევაში დეპარტამენტი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტს.
მნიშველოვანია ასევე ადამისნეურ რესურსის გაზრდის საკითხი, კერძოდ ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულების გაძლიერების მიზნით ფაკულტეტის მიერ მოწვეულია სამთო-გეოლოგიის სფეროს ორი სპეციალისტი. ამჟამად ისინი მონაწილეობას ღებულობენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებასა და განხორციელებაში. მათი მხრიდან მიღებულია თანხმობა სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის შესახებ. პირველ მათგანს დაგროვებული აქვს დიდი გამოცდილება საქართველოს ნავთობისა და გაზის გეოლოგიური განყოფილების უფროსის თანამედბობაზე, ხოლო ბოლო წლებში ბათუმის ნავთობტერმინალში გაყოფილების უფროსის პოზიციაზე მუშაობისას. მეორეს კი - აქვს დიდი გამოცდილება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში გეოლოგიური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, ასევე კერძო ბიზნესის მიმართულებით გეოლოგიური კომპანიის დირექტორად მუშაობისას.
ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბსუ ხელს უწყობს თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ამ მიზნით ის უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას ტრენინგებში, ვორქშოპებში, სემინარებში და სხვა ღონისძიებებში. შესაძლებელია საჭიროების მიხედვით დამატებითი ღონისძიების ორგანიზება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ წინაპირობებთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის წინაპირობებში არ არის მოცემული რომ მიიღება ბაკალავრი ხარისხის მქონე პირი, მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო საფეხურზე აღნიშნული იგულისმხება, მნიშვნელოვანია მისი დოკუმენტურად გაწერაც, ასევე აუცილებელია გაიწეროს საგამოცდო რეგულაციები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში მოცემულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დამატების საკითხები იმ მიზნით, რომ სწავლის შედეგების მიღწევა იყო უზრუნველყოფილი, შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ. ამასთან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამის ფარგლებში არსებულს სამაგისტრო ნაშრომებზე და მათ ხარისხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული კომპონენტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ პრაქტიკული და თეორიული ცოდნის სინთეზირებას, რომელიც სწავლის შედეგებით არის გაწერილი. პროგრამის მიხედვით ძირითადად ლაბორატორიული მუშაობებია გათვალისწინებული, შესაბამისად მნიშვნელოვანია დაემატოს ასევე საწარმოო პრაქტიკა. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, შესაბამისად სტუდენტების გარკვეულად უზრუნველყოფილი არიან პრაქტიკული მუშაობის კომპონენტით. სწავლის შედეგებზე სრულად გასვლისთვის, მნიშვნელოვანია რომ პროგრამაში უზრუნველყოფილი იყოს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი.
რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა უმეტესობა თემატიკის და შესრულების მხრივ იყო საინტერესო და გამართული. თუმცა, შესამჩნევია, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ არის სამაგისტრო ნაშრომი დაცული

ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკაზე. ინსტიტუციის ინფორმაციით ეს განპირობებულია შესაბამისი მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის არყოლით. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ის უზრუნველყოფა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ყველა პროგრამაზე პროცედურა გაწერილია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც იქნა ხელახლა ახალი რედაქციით მიღებული 2021 წლის ოქტომბერში. მოცემული პროგრამა წარდგენილ იქნა აკრედიტაციისთვის 14 ოქტომბერს, რეალურად არსებობს გარკვეული აცდენა მარეგულირებელი დოკუმენტის მიღებასა და პროგრამის წარდგენას შორის, შესაბამისად, ის , რომ დეტალიზება არ არის წარმოდგენილი ამ საკითხით არის განპირობებული. ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის საფუძველზე, მობილობის პროცესისა ან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ტესტურ გამოცდას სპეციალობაში და უცხო ენაში. პროგრამა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები უტარებენ კონსულტაციებს და აძლევენ დამატებითი ცოდნის მიღების საშუალებას. საგამოცდო თემატიკა, შესაბამისი ლიტერატურის მითითებით ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი/ტესტური ფორმით, თემატიკა - კრებსითი, რომელიც აღებულია სპეციალობის სასწავლო კურსებიდან. სასურველია საგამოცდო ბილეთებში უფრო ვრცლად აისახოს საკითხები ნავთობგაზსარეწაო გეოლოგიიდან.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:22
დასრულების დრო: 16:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტი 1.2 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ასევე 5.1 ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ გადავიდა „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გაძლიერდეს აქცენტი ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია, ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად საჭირო საკითხების დამატება პროგრამაში;

3. რეკომენდურებულია, სასწავლო პროგრამას ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით შესაბამისი სავალდებულო კურსები/საკითხების დამატება პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები და დაზუსტდეს ყველა მიმართულებით. მათ შორის ჩასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობები: საგამოცდო პროცედურები, ენობრივი კომპონენტის დაზუსტება დონისა და საგამოცდო პროცედურების კუთხით, წინა საფეხურის ხარისხის (ბაკალავრის) მქონე აპლიკანტების დაშვება, დარგობრივი გამოცდის საკითხები, პროცედურები და სხვა;
5. რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულება, შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურს(ებ)ის დამატებით და/ან არსებული კურსების სილაბუსის გაღრმავებით;
6. მიზანშეწონილია სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით);
7. რეკომენდებულია დაიხვეწოს ტერმინოლოგია „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდების“ სილაბუსში;
8. მიზანშეწონილია, ნავთობისა და გაზის მოპოვების სილაბუსში პრაქტიკული საკითხების წამოწევა და გაძლიერება, ასევე, ნავთობისა და გაზის მომზადების საკითხები უმჯობესია გამოეყოს ამ სილაბუსს;
9. რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეთავაზება ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკის კვლევით დაინტერესებული სტუდენტებისათვის;
10. რეკომენდებულია ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა;
11. მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება;
12. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, შემდგომში პროგრამის გაძლიერება და განვითარების უზრუნველსაყოფად;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის მეორე მიზნის ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ნავთობისა და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა“;
2. სასურველია საგამოცდო ბილეთებში უფრო ვრცლად აისახოს საკითხები ნავთობგაზსარეწაო გეოლოგიიდან;
3. სასურველია გამრავალფეროვნდეს და გაფართოვდეს ლიტერატურა ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით;
4. გარდა სილაბუსებში მითითებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისა, სასურველია აქცენტი გაკეთდეს მეტ პრაქტიკული ანგარიშებზე;
5. სასურველია, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. სასურველია გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით;
7. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში იყოს დეტალურად გაწერილი ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^{6}-ე მუხლის 2^{11}-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განუსაზღვრა ვადა აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად და მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით.

მეექვსე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2021 წლის 1 თებერვალი, MES 3 21 0000049697
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (isced – f – 2013)	0732 სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ects კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი,6010, ფიროსმანის ქუჩა 12, სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 1 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. 2022 წლის 1 თებერვალი თარიღი განსაზღვრული იყო როგორც ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადა, რაც არ დაურღვევია უსდ-ს. 2021 წლის 25 იანვარს წარმოდგენილი დასკვნით, პროგრამის შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინების საკითხებზე უსდ-ს მხრიდან მუშაობდა ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;
2. რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზები;
3. საჭიროა ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ დაზუსტდეს და ანალოგიური იყოს ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში;
4. რეკომენდებულია შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
5. წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ბაზა.

მნიშვნელოვანია, რომ პირველი რეკომენდაციის შესაბამისად, დონეების მიხედვით მკაფიოდ იქნა განსაზღვრული სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამისობაში იქნა მოყვანილი სწავლის შედეგის დონეთან.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უსდ ბსუ-ის მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული მემორანდუმები, რომელიც გაფორმებული აქვთ სხვადასხვა სამშენებლო და საპროექტო კომოპანიასთან, სადაც: გაწერილი იქნა სპეციალობა, სტუდენტთა რაოდენობა და სხვა მონაცემები, რომლებიც ესაჭიროება პარტნიორ ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტს პრაქტიკის/ლაბორატორიის განხორციელების პერიოდში.
აღსანიშნავია ასევე მე-3 რეკომენდაცია, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილებით, „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანამათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით შეფასების სისტემა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20, ხოლო მიმდინარე

შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 40 ქულა. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა).დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა). ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ ინდივიდუალურად.“

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, შეფასების ქულებისა და მათი შეფასების კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ზემოთხსენებული დადგენილების მიხედვით სასწავლო კურსების: „საგზაო მშენებლობა“; „ხის კონსტრუქციები“; „ხიდების კონსტრუქციები“; „ლითონის კონსტრუქციები i“; „რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები i“; „ლითონის კონსტრუქციები ii“; ,,რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები ii“; „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“; „ამწე-სატრანსპორტო მანქანები“ და „სამშენებლო მანქანები“ სილაბუსებში საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად ჩამოყალიბდა.

აქვე მნიშვნელოვანია მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აჭურვილობის ბაზის განახლების მიზნით ბსუ-ში მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები. გარდა ამისა გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების ლაბორატორიის შექმნა, რომლისთვისაც უნდა მოხდეს აღჭურვილობის შეძენა. ასევე დაგეგმილია სასწავლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით ჭკვიანი დაფის, სახაზავი დაფების, რეიშინებისა და სხვ. შეძენა. ბსუ-სა და შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრს“ შორის გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიხედვით, აღნიშნული ცენტრის ბაზა გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის, ლაბორატორიული სამუშაოს და კვლევითი ექსპერიმენტის განხორციელების მიზნით

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:02
დასრულების დრო: 17:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 21[1] პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეშვიდე საკითხი : სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 02 თებერვალი, N53930
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010. ქ. ბათუმი,ზ.გორგილაძე/ვაჟა-ფშაველასქ. N19/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას ,,კულტურის მენეჯმენტი“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის სხდომის n 53930 გადაწყვეტილებით აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელებით. აღნიშნული უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 02 მარტის სხდომაზე განხილულ იქნა ,,კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები და რჩევები. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების პროგრამის

განვითარებაში ასახვის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშიც წარმოდგენილნი იყვნენ საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. ამავე ჯგუფს დაევალა ანგარიშის მომზადებაც. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები ჩასწორდა ანგარიშის წარმოდგენამდე; გარკვეული რეკომენდაციების შესრულება იგეგმება პროგრამის მონიტორინგის პერიოდისთვის, ხოლო მესამე ნაწილი - პროგრამის რეაკრედიტაციისთვის, რადგან ის მოითხოვს დროს და პროცესის დინამიკაზე დაკვირვებას. ამასთან, პროგრამის მონიტორინგის პერიოდისთვის გათვალისწინებული იქნება 2021 წლის 31 დეკემბრის მენეჯმენტის დარგობრივი საბჭოს მიერ დამტკიცებული მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებიც. ამ მიზნით 2022 წლის 27 იანვარს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაო ჯგუფი და გეგმა.

რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულების მიერ შესრულდა, ხოლო ნაწილი არის შესრულების პროცსში რაც მტკიცდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით.

ექსპერტმა ისაუბრა სატნდარტებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ 1.1. კომპონენტში რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ისეთ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, როგორებიცაა აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი", ,,ტურისტული სააგენტო ,,ევრო ტური" და სასტუმრო ,,მარანი". იმავდროულად, 2022 წელს იგეგმება დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა წარმოდგენილ ახალ პარტნიორ დაწესებულებებში/ დამსაქმებლებთან.

რაც შეეხება 1.2 კომპონენტს, რეკომენდაცია შესრულების პროცესშია, კერძოდ დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საფუძველზე პროგრამის ხელმღვანელებმა მოამზადეს პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდის პროექტი. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია ასევე, რომ 1.2 კომპონენტნა მიმართებით არსებული რეკომენდაციის შესაბამისად, ამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები სრულად აისახა პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში.

რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირდა წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით და დასახელებული სასწავლო კურსები გადავიდა სპეციალობის სავალდებულო საგნების ჯგუფში. შემუშავდა და დამტკიცდა ,,ფინანსების საფუძვლები" სასწავლო კურსის სილაბუსი სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსის სახით. რეკომენდაციაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების პედაგოგებთან ერთად მიღებული იქნა გადაწყვეტილება წინაპირობების განსაზღვრის შესახებ.

ამასთან, ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდებოდა პროგრამის სტრუქტურაში, სადაც სპეციალობის სავალდებულო საგნების გასწვრივ ეწერა 162 კრედიტი. ამასთან, სტრუქტურიდან არ ჩანდა სპეციალობის არჩევითი ყველა სასწავლო კურსის შეთავაზება ხდება თუ არა ეხუთე სემესტრში. რეკომენდაციაში წარმოდგენილი ტექნიკური ხარვეზი გასწორდა.

გარდა ამისა, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინაპირობა განისაზღვრა. თუმცა კურიკულუმში არ არის მითითებული საბაკალავრო ნაშრომის/ პროექტის წინაპირობა. ამასთან, სილაბუსში მითითებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა". რეკომენდაციის მოთხოვნები საჭიროებს სათანადოდ ასახვას კურიკულუმსა და სილაბუსში. კერძოდ, კურიკულუმში აისახოს წინაპირობა, ხოლო სილაბუსში მიეთითოს - ,,საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა", გამომდინარე აქედან, რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.

2.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია მეთოდოლოგიასთან დაკავშრებით ასევე შესრულების პროცესშია, კერძოდ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შედგა კონსულტაციები კურსების პედაგოგებთან და დაგეგმილია მესამე შედეგების გადამუშავება მონიტორინგის ეტაპისთვის, დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე. რაც შეეხება ლიტერატურას, რიგი სავალდებულო ლიტერატურა განახლდა პედაგოგების მიერ მომზადებული რიდერებითა და წიგნების ელ. ვერსიებით. დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. ინგლისური ენის სასწავლო კურსთან დაკავშირებით, პედაგოგმა განაახლა სილაბუსი. ამასთან, ჩამოყალიბდა უცხო ენის ჯგუფების ფორმირების მექანიზმი, რაც აისახა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

რაც შეეხება 2.4 კომპონენტს, ცვლილება შევიდა სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულებაში და ურთიერთთანამშრომლობის ახალ მემორანდუმებში. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლა-სწავლების მეთოდების ანალიზი, კონსულტაციები და სილაბუსების განახლების პროცესი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდაცია აისახა უნივერსიტეტის სტრატეგიულ და შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების 2022 წლის სამოქმედო გეგმაში. ამასთან, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის საკითხები ასახულია ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების 2019 – 2025 წლის გეგმაში, თუმცა, არსებითია ამ მიმართულებით აქტივობების ქმედუნარიანობის ამაღლება.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, 1 აკადემიური შტატი დაემატა ბიზნესის ადმინისტირების მიმართულებით პროგრამას აკრედიტაციამდე, თუმცა შემდგომ პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა მეორე შტატიც გამოაცხადა ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე. მიმდინარე ეტაპზე ეს უკანასკნელი ვაკანტურია, თუმცა იგეგმება კონკურსის ხელახლა გამოცხადება. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, ახალგაზრდა სპეციალისტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა კარიერული წინსვლისათვის გასატარებელი ღონისძიებები წარმოდგენილია უნივერსიტეტის 2020-2022 სამოქმედო გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ აქტივობებს ამ მიმართულებით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ 2021 წლის 31 დეკემბერს მენეჯმენტის დარგობრივმა საბჭომ დაამტკიცა მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის ბრძანებით პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა განისაზღვრა 1 წლით, რაც, ძირითადად, ემთხვევა პროგრამის ანგარიშის წარდგენიდან მონიტორინგის დასრულების ვადას. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაო ჯგუფი და სამუშაო გეგმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:19

დასრულების დრო: 17:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 21[1] პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მერვე საკითხი : შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N27 28.06.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9, თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის n 249802 ბრძანებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში. ამავე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტთა გუნდს გადმოეგზავნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. წინა მოსამზადებელი შეხვედრა შედგა zoom პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლის შედეგები იქნეს დაკორექტირებული მათი მიღწევადობის და გაზომვადობის თვალსაზრისით.
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება და თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად მორგება.
3. რეკომენდებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გადახედვა ლიტერატურის განახლების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება გაიზიარა და გაითვალიწიენა ექსპერტთა დასკვნაშ ასახული რეკომენდაციები. ის სილაბუსები რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას დაწესებულებამ წარუდგინა ცენტრს, ასევე რაც შეეხება ლიტერატურას, რეკომენდაციის შესაბამისად მოხდა რიგ სასწავლო კურსებსშ ლიტერატურის განახლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტში არსებულ საკითხებს შორის სარეკომენდაციო ნაწილში აღნიშნულია მხოლოდ ლიტერატურის განახლების საკითხის შესახებ. მაშინ როდესაც, რიგ სასწავლო კურსებში გვხვდება მოძველებული ლიტერატურა, შესაბამისად, ხომ არ არის აღნიშნული პირდაპირ კავშირში სასწავლო კურსების შინაარსის განახლებასთან, რის შესახებაც რეკომენდაციებში არაფერია მოცემული.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა ,,ეკონომიკის საფუძვლების" სასწავლო კურსი და დააზუსტა აღნიშნული არის საუნივერსიტეტო საგანი თუ კონკრეტულად მოცემული პროგრამისთვის არის განსაზღვრული.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დააზუსტა აქვს თუ არა უნივერსიტეტს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სილაბუსების გაცნობის შედეგად არ იკვეთებოდა შინაარსობრივი ხარვეზი, შესაბამისად ექსპერტებმა ჩათავლეს, რომ მნიშვნელოვანია ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხების გამოსწორება.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლების პროცესში თემატიკა აუცილებლად საჭიროებს გადახედვას, რათა განხილული იყოს თანამედროვე პროცესები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომელიც ვებ-გვერდზეც არის განთავსებული და რომლის შესაბამისადაც სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება გაზიარებული რჩევა ;იტერატურასთან და სასწავლო კურსების შინაარსთან დაკავშირებით და ამ კუთხით დაწესებულება აქტიურადგ განაგრძობს მუშაობას.
რაც შეეხება ,,ეკონომიკის პრინციპებს" აღნიშნული თავდაპირველად წარმოადგენდა საუნივერსიტეტო საგანს, მაგრამ ლექტორებთან კომუნიკაციის შედეგად მოცემული კურის მაქსიმალურად მოერგო პროგრამის შინაარსს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 17:57
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
მესამე რეკომენდაცია გადავიდა აკრედიტაციის ქვესტანდარტ 2.6-ში.
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლის შედეგები იქნეს დაკორექტირებული მათი მიღწევადობის და გაზომვადობის თვალსაზრისით;
2. რეკომენდებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების შინაარსობრივი გადახედვა, ლიტერატურის განახლება ან/და გამრავალფეროვნება;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, შეფასების მეთოდების **გამრავალფეროვნება** და თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად მორგება.

რჩევები:

1. სასურველია გამიჯნული იქნას გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეები, პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის შემთხვევაში მისი სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე;

2. სასურველია სასწავლო კურსი ,,სოციალური კვლევის მეთოდები“ გათვალისწინებული იყოს მე-8 სემესტრამდე, რათა სტუდენტმა საგანი შეისწავლოს სრულყოფილად, რომელიც აქტიურ დახმარებას გაუწევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში;
3. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდები რელევანტურად იქნას ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში;
4. სასურველია, რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, შეფასების მეთოდების **გამრავალფეროვნება** და თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად მორგება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი n233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით